
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

85785704126526

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N260375775

რეგისტრაციის თარიღი

25.03.2026 წ

ნოტარიუსი: ჟენია ტარტარაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. №42
ტელეფონი: 2771600

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაექვსი წლის ოცდახუთ მარტს მე, ჟენია ტარტარაშვილს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. #42, მომმართა გოჩა კალანდაძემ, მან განაცხადა რომ არის შპს „ოცნების სახლი“-ს დირექტორი და სურს საზოგადოების სახელით შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს მამუკა სირაძეს. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად შპს „ოცნების სახლი“-ს დირექტორმა გოჩა კალანდაძემ (დაბ:03.02.1974წ. საქართველო, ხარაგაული, პ/№ 01012019973, მისამართი: თბილისი მერაბ კოსტავას ქ. N 68ბ ბ. 35; თანახმად ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, გაცემული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, 08/08/2025 წელს, ს/ნ 406124536) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამჩენია. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც ხმამაღლა წავუკითხე მას და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ: მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი, რასაც ვადასტურებ.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, გოჩა კალანდაძე როგორც შპს „ოცნების სახლი“-ს (ს/ნ 406124536) დირექტორი ვენდობი - მამუკა სირაძეს (დაბ:03.02.1984წ. პ/N 01010013468) და ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას: რომ იყოს ჩემი, როგორც შპს „ოცნების სახლი“-ს დირექტორის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ნებისმიერ მუნიციპალიტეტში, მერიაში, გამგეობაში, საკრებულოში, მერიის არქიტექტურის სამსახურში, მერიის ურბანულ სამსახურში, მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში, აწარმოოს 01.17.10.005.131 საკადასტრო კოდზე არსებულ მიწის ნაკვეთზე პროექტირებასთან და მშენებლობასთან დაკავშირებული საქმეები, აწარმოოს მშენებლობა დამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებული საქმეები, მიიღოს და წარადგინოს ყველა სახის დოკუმენტი/განცხადება, შეიტანოს დამატება/შესწორება დოკუმენტაციაში, მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, აგრეთვე მიიღოს ყველა საჭირო ნებართვა, ცნობა, მოწმობა და დოკუმენტი საქართველოს სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სტრუქტურებიდან, საჭიროების შემთხვევაში დაესწროს საქმის განხილვას, მიიღოს მშენებლობის ნებართვა, წარადგინოს/ატვირთოს პროექტი, შეიტანოს ცვლილებები დამტკიცებულ პროექტში, დააკორექტიროს პროექტი, გააგრძელოს ვადა, მიიღოს ყველა საჭირო დოკუმენტი ნებისმიერი სამსახურიდან, საჭიროების შემთხვევაში უკან გამოითხოვოს ჩაბარებული დოკუმენტები, გადაიხადოს საჭირო გადასახადები, მოაწეროს ხელი და განახორციელოს ყველა აუცილებელი ქმედება დაკავშირებული აღნიშნული დავალებების შესრულებასთან.
იყოს შპს „ოცნების სახლი“-ს სრულუფლებიანი წარმომადგენელი სს „თელასში“, სს „თელმიკოში“ , შპს „თბილისი ენერჯიში“, შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“, „თბილსერვის ჯგუფში“ , საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში, „სილქნეტში“, „მაგთი“, „ახალ ქსელებში“, აწარმოოს 01.17.10.005.131 უძრავი ქონების გამრიცხველიანებასთან და აბონენტად დარეგისტრირებასთან დაკავშირებული საქმეები. შეიტანოს ან გამოიტანოს განცხადება, გადაიხადოს ყველა საჭირო გადასახადი, მიიღოს ნებისმიერი სახის ნებართვა, ცნობა, მოწმობა, დოკუმენტი და ინფორმაცია, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს და განახორციელოს ყველა აუცილებელი ქმედება დაკავშირებული აღნიშნული დავალებების შესრულებასთან.
მინდობილობა გაცემულია ორი წლის (25.03.2028წ.) ვადით, გადანდობის უფლების გარეშე.

წინამდებარე მინდობილობას ვადასტურებ მე, ნოტარიუსი ჟენია ტარტარაშვილი სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს, ჟენია ტარტარაშვილის სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა ,,მიმნდობს''.
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 30 (ოცდაათი) ლარი, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური 5 (ხუთი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების - "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31.8-ე, 39.1 მუხლისა და დღგ 5.40 ლარი, თანახმად საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

შპს „ოცნების სახლი“-ს დირექტორი გოჩა კალანდაძე

ნოტარიუსი: /ჟენია ტარტარაშვილი/